



თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

TAMAZ BERADZE INSTITUTE OF GEORGIAN STUDIES

საქართველოს უნივერსიტეტი

THE UNIVERSITY OF GEORGIA

საქართველო და კავკასია –  
წარსული, აწმყო, მომავალი

GEORGIA AND THE CAUCASUS –  
PAST, PRESENT, FUTURE

მესამე საერთაშორისო კონფერენციის მასალები

PROCEEDINGS OF THE THIRD INTERNATIONAL CONFERENCE

თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

TAMAZ BERADZE INSTITUTE OF GEORGIAN STUDIES

საქართველოს უნივერსიტეტი

THE UNIVERSITY OF GEORGIA

საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი

GEORGIA AND THE CAUCASUS – PAST, PRESENT, FUTURE

მესამე საერთაშორისო კონფერენციის მასალები

PROCEEDINGS OF THE THIRD INTERNATIONAL CONFERENCE



საქართველოს უნივერსიტეტის  
ბ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

კონფერენციის ორგანიზატორები:

ქართველოლოგიის მხარდამჭერი ფონდი

Georgian Studies Support Foundation

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

The University of Georgia Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტი

Goethe-Universität Frankfurt



საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2025.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.), მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღების, ჩაწერის, ინფორმაციის შენახვის თუ ამოღების ნებისმიერი სისტემის მეშვეობით, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

All rights reserved. No part of this publication may be published, translated, reproduced, or transmitted in any form or by any means, electronically (CD-Rom, Internet, etc.), mechanically, including photocopying, recording, information storage or retrieval system, without the prior written permission of the University of Georgia Publishing House.

ყდაზე გამოყენებულია კარტოგრაფ ჟოზეფ ნიკოლა დელილის მიერ შესრულებული საქართველოს რუკა – Carte de la Georgie et Des Pays Situes Entre La Mer Noire et La Mer Caspienne, Joseph-Nicolas Delisle, published by Paolo Santini – პირველი გამოცემა: პარიზი, 1766 წ.; მეორე გამოცემა: ვენეცია, 1775 წ. რუკის ფოტოასლის გადმოცემისთვის მადლობას ვუხდით ბ-ნ სულხან სალაძეს.

The cover features the map of Georgia, created by cartographer Joseph-Nicolas DeLille. The map, Carte de la Georgie et des Pays Situés entre la Mer Noire et la Mer Caspienne, was first published in Paris (1766); a second edition of the map Paolo Santini published in Venice (1775). We thank Mr. Sulkhan Saladze for providing a photocopy of the map.

მისამართი: 77ა, მ. კოსტავას ქუჩა, თბილისი, 0171, საქართველო

ტელ.: +995 032 2 55 22 22

ელ. ფოსტა: info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

ISBN: 978-9941-9898-9-6

## **კონფერენციის სამეცნიერო საბჭო / Scientific Board**

გიული ალასანია (თავმჯდომარე) / Giuli Alasania (Chair)  
ნანა მრევლიშვილი (თანათავმჯდომარე) / Nana Mrevlishvili (Co-Chair)  
თინათინ ლუდუშაური / Tinatin Ghudushauri  
ნინო დობორჯინიძე / Nino Doborjginidze  
დამანა მელიქიშვილი / Damana Melikishvili  
იულონ გაგოშიძე / Iulon Gagoshidze  
ლაურა გრიგოლაშვილი / Laura Grigolashvili  
ზაზა სხირტლაძე / Zaza Skhirtladze  
მაკა ელბაქიძე / Maka Elbakidze  
მარიკა დიდებუიძე / Marika Didebulidze  
მარიამ გველესიანი / Mariam Gvelesiani  
ნანა ბურჭულაძე / Nana Burchuladze  
მანანა თანდაშვილი / Manana Tandashvili  
გიორგი გაგოშიძე / Giorgi Gagoshidze  
დოდო ჭუმბურიძე / Dodo Chumburidze  
ქეთევან დათუკიშვილი / Ketevan Datukishvili

## **კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი / Organizing Committee**

ქეთევან ქიმერიძე / Ketevan Kimeridze  
სოფიო გულიაშვილი / Sophio Guliashvili  
თინათინ ჯიქურაშვილი / Tinatin Jikurashvili  
იოსებ ბუჩუკური / Ioseb Buchukuri

## **პასუხისმგებელი რედაქტორი / Editor-in-Chief**

ანტონ ვაჭარაძე / Anton Vatcharadze

## **რედაქტორი/ Editor**

მარინა ჟღენტი Marina Zhgenti

## **ინგლისური ტექსტის რედაქტორები / English Text Editors**

სოფიო ჯობავა / Sophio Jobava

## **კრებულის შედგენაზე მუშაობდა / The collection was compiled by**

ანტონ ვაჭარაძე / Anton Vatcharadze  
სოფიო გულიაშვილი/ Sophio Guliashvili

## **ტექნიკური რედაქტორი / Technical Editor**

ნინო სუარიძე / Nino Suaridze



# სარჩევნი

## TABLE OF CONTENTS

წინათქმა / PREFACE .....11

### ისტორია: ძველი და შუა საუკუნეები

#### მანანა სანაძე, ანდრო გოგოლაძე / Manana Sanadze, Andro gogoladze

„ქართლის ცხოვრების“ აპოკრიფის – „შიშუელმართალთათუს და ქუეყნისა საზომისათუს აღმო-  
სავლითგან ვიდრე დასავლეთამდე“ შუა საუკუნეების მსოფლიოს გეოგრაფიული სურათი  
Apocryphal writings in Life of Kartli: history of gymnosophists and  
geographical image of the world.....13

#### შოთა თვალაძე / Shota Tvaladze

ქართველთა/ქართლის ცხოვრების მცხეთურ რედაქციაში შემავალ ხელნაწერთა აღწერილობა  
Description of the Mtskheta Version of The Life of Kartli/Georgians.....26

#### გონელი არახამია / Goneli Arakhamia

კათოლიკოსთა სათვალავი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში  
Enumeration for catholicoi of Kartli in medieval Georgian historiography.....39

#### ქეთევან დიდმელაშვილი / Ketevan Digmelashvili

აღნას მოსახსენიებელი კრამიტები ბებრისციხისა და სამთავისის ტაძრიდან,  
როგორც ისტორიული წყარო  
The tiles with the inscriptions of Arna from Bebristsikhe and from the church  
of Samtavisi as the historical source.....50

#### დავით მერკვილაძე / Davit Merkviladze

ტყვეებით ვაჭრობის ადგილები XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში  
უცხოელ ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით  
Places of Slave Trade in 17<sup>th</sup> Century western Georgia based on  
foreign authors' accounts.....57

#### ტრისტან მაჭარაშვილი / Tristan Matcharashvili

კვება შუა საუკუნეების საქართველოში  
Food in medieval Georgia.....68

#### Bitadze Liana, Laliashvili Shorena, Chkadua Marine, Rasia Piera Allegra, Rova Elena, Bertoldi Francesca, Khudaverdyan Anahit

Paleodemography of the late Bronze-Early Iron population of the  
Southern Caucasus in comparative consecration.....81

#### ამინ ყეზელბაშანი / Amin Ghezelbashan

ხუზესტანის ქართული არისტოკრატის ადგილი ირანის ისტორიაში  
The place of the Georgian aristocracy of Khuzestan in Iranian history.....94

## ისტორია: ახალი და უახლესი (XIX-XX საუკ.)

### ნინო ჩიქოვანი / Nino Chikovani

გმირები და ანტიგმირები „ახალი მეხსიერების“ კონსტრუირების პროცესში საქართველოში  
Heroes and anti-heroes in the process of the construction of “new memory” in Georgia.....110

### მაია ცერცვაძე / Maia Tsertsvadze

1832 წლის შეთქმულების შესწავლისათვის – დიმიტრი ბატონიშვილის  
წერილები თამარ ბატონიშვილისადმი  
For the study of the conspiracy of 1832 – Prince Royal Dimitri’s  
letters to Princess Royal Tamar.....124

### დალი კანდელაკი / Dali Kandelaki

ეკატერინა ლაჩინოვას აკრძალული წიგნი: XIX საუკუნის კავკასიური ომის ისტორიები  
Ekaterina Lachinova’s forbidden book: stories of the Caucasian war of the 19th century.....134

### ხათუნა ჩაფიჩაძე / Khatuna Chapichadze

რუსული მიგრაცია საქართველოში – პროექტი „ახალი ნოვოროსია“ საკითხისათვის  
Russian migration to Georgia – on the issue of the “new novorossiia” project.....142

## ლიტერატურა, ლინგვისტიკა

### ნანა მრევლიშვილი / Nana Mrevlishvili

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ვრცელი ქართული რედაქციის საკითხისათვის  
On the issue of the long Georgian version of *The Martyrdom of Saint Queen Shushanik*  
by Jakob the Priest.....153

### გიორგი მულიანი / Giorgi Muliani

ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა ფერეიდნულ დიალექტში  
Vocabulary denoting kinship in the Fereydani dialect.....167

### ალექსანდრე ჭულუხაძე / Alexander Chulukhadze

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ უცხო ლექსიკა  
The foreign vocabulary of “The Martyrdom of Saint Queen Shushanik” by Iakob Khutsesi.....178

### ეკა ორაგველიძე / Eka Oragvelidze

ნესტანი, ბეატრიჩე, ლაურა, „ზუბოვკა“, „სულიკო“ – დაკარგული სატრფოს მხატვრული  
განსახიზნების პრინციპები  
Nestan-Darejani, Beatrice, Laura, “Zubovka” and “Suliko” – The principles  
of artistic representation of the lost treasure.....201

### ნინო კვირიკაძე / Nino Kvirikadze

თომას მანის მოთხრობის *სასაფლაოს გზა* სათაურის სემანტიკისათვის  
On the semantics of “The path to the cemetery”, the title of Thomas Mann’s story.....215

### ნინა ბარნოვი / Nina Barnovi

ვიზუალური კოდების სემიოლოგიის შესახებ (უმბერტო ეკოს მიხედვით)  
On the semiotics of visual codes (as per Umberto Eco).....229

# ეკატერინა ლაჩინოვას აკრძალული ნიგნი: XIX საუკუნის კავკასიური ომის ისტორიები

## დალი კანდელაკი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
ORCID: 0000-0001-7764-5059

## აბსტრაქტი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსულმა ლიტერატურამ დიდი ადგილი დაუთმო კავკასიის თემას. ეს განპირობებული იყო ამ საუკუნის დასაწყისიდან რეგიონში მომხდარი მოვლენებით. სტატიამი განხილულია რომანი-პამფლეტი „ხრიკები კავკასიაში“, რომელიც რუსეთში 1844 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. წიგნის ავტორი იყო ეკატერინა ლაჩინოვა, რომელმაც ფსევდონიმად ე. ხამარ-დაბანოვი აირჩია. წიგნი 1846 წელს გამოქვეყნდა ლაიფციგში, გერმანულ ენაზე, სათაურით – „მოსკოველები და ჩერქეზები“. ევროპელი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციები ამ უსამართლო და დაპყრობითი ომის შესახებ.

წინამდებარე სტატიის მიზანია შევისწავლოთ რუსი მწერლის ნაწარმოებში დასმული მწვავე პრობლემები კავკასიური ომის კონკრეტული პერიოდის შესახებ. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ნარატიული, ისტორიულ-კრიტიკული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

რომანის გამოქვეყნებას ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. გამოცემისთანავე წიგნის თითქმის მთლიანი ტირაჟი გაანადგურეს. ნაწარმოები საზოგადოებას XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე კავკასიური ომის კულისებში არსებულ ისტორიებს აცნობდა. წიგნის გამოცემისას ავტორის და მისი რომანის დაწერის მიზნის შესახებ ინფორმაციები მცირედ მოიპოვებოდა. შემდეგ არაერთი მეცნიერი დაინტერესდა ამ ნაწარმოებით. რომანში ასახული მოვლენები და პიროვნებები არ იყო გამოგონილი, ისინი რეალური მოვლენებიდან იყო აღებული. რუსმა მწერალმა ნაწარმოებში ასახა რუსი ოფიცრებისა და ჩინოვნიკების სისასტიკე, ბიუროკრატიული სისულელეები, მათ მიერ ჩადენილი ძარცვა, ძალადობა. მან ასევე გააკრიტიკა ჩერქეზები, რომელთა წინააღმდეგაც რუსული არმია იბრძოდა. რომანში ავტორი ამ წიგნით გმობს უაზრო ომს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკატერინა ლაჩინოვა, ე. ხამარ-დაბანოვი, საქართველო, კავკასიური ომი, XIX საუკუნე

## EKATERINA LACHINOVA'S FORBIDDEN BOOK: STORIES OF THE CAUCASIAN WAR OF THE 19TH CENTURY

Dali Kandelaki

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Habilit. Dr. of History

ORCID: 0000-0001-7764-5059

### Abstract

Motivated by the events unfolding in the Caucasus since the turn of the century, Russian literature dedicated a significant part of its attention to the region in the first half of the 19th century. The article examines the novel-pamphlet "Escapades in the Caucasus", released in Russia in early 1844. Its author, Ekaterina Lachinova, wrote under the pseudonym E. Khamar-Dabanov. The book was later translated into German and published in Leipzig in 1846 under the title "Muscovites and Circassians," providing information about this unjust conquest war to European readers.

This article aims to analyse the pressing concerns brought up in the work of the Russian in light of a specific period of the Caucasian War. Throughout the research process, the study used historical-critical, historical-comparative and narrative methodologies.

The publication of the novel caused a great deal of controversy among the authorities, almost the whole print run was destroyed shortly after its release. The work exposed the little-known facts of the Caucasian War in the late 1830s and early 1840s to the public. At the time of its release, the author's background and reasons for authoring the novel were not well understood. However, later on, the book caught the attention of numerous scholars. The events and characters portrayed in the novel were not fictional but drawn from real life. Lachinova vividly described the brutality of Russian officers and officials, bureaucratic ineptitude, and the looting and violence they committed. At the same time, she criticized the Circassians, who were the target of the Russian army battle. Ultimately, the novel condemns the absurdity of this kind of conflict.

**Keywords:** Ekaterina Lachinova, E. Khamar-Dabanov, Georgia, Caucasian War, 19th century

## შესავალი

რომანი-პამფლეტი „ხრიკები კავკასიაში“ (Хамар-Дабанов, 1844) რუსეთში 1844 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. წიგნის ავტორი იყო მწერალი ეკატერინა პიოტრის ასული ლაჩინოვა (ქალიშვილობის გვარი შელაშნიკოვა; 1810, სამარა – 1896, მოსკოვი). ავტორმა ფსევდონიმად ე. ხამარ-დაბანოვი აირჩია, ციმბირის მთების, ხამარ-დაბანის, სახელწოდების მიხედვით. 1836 წლიდან 1840 წლამდე იგი მეულღესთან, კავკასიის ცალკეული კორპუსის გენერლთან, ნიკოლაი ემილიანის ძე ლაჩინოვთან (1795-1876) ერთად იმყოფებოდა კავკასიაში. ამ პერიოდში ე. ლაჩინოვა ცხოვრობდა სტავროპოლსა და თბილისში, ტრიალებდა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლების მაღალ წრეებში. შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე კავკასიური ომის კულისებში არსებული ვითარება.

სტატიის მიზანია შევისწავლოთ რუსი მწერლის ნაწარმოებში დასმული მწვავე პრობლემები კავკასიური ომის კონკრეტული პერიოდის შესახებ და ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რამდენად შეესაბამება ე. ლაჩინოვას რომანში მხატვრულად გადმოცემული ამბები ისტორიულ სინამდვილეს? ის იყო ობიექტური ავტორი თუ მაინც იზიარებდა და მხარს უჭერდა რუსული იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებულ ომს?

ე. ლაჩინოვას ნაშრომის აქტუალურობასა და მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მან ჯერ კიდევ 1842 წელს პეტერბურგში 1834-1865 წლებში გამოშვებულ პირველ დიდტირაჟიან, უნივერსალური შინაარსის ყოველთვიურ ჟურნალში „ბიბლიოთეკა კითხვისათვის“ (Библиотека для чтения) გამოაქვეყნა ნაწყვეტი მომავალი რომანიდან, კერძოდ, მეშვიდე თავი – „ყუბანსიქითა კარამზადა“, რომელიც დადებითად შეაფასეს ოსიპ სენკოვსკიმ და ვისსარიონ ბელინსკიმ (Русские писатели, 1994, გვ. 293). გამოცემისთანავე ე. ლაჩინოვას წიგნის თითქმის მთლიანი ტირაჟი გაანადგურეს. თუმცა, 1846 წელს ლაიფციგში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა სათაურით – „მოსკოველები და ჩერქეზები“ (Moskowiter und Tscherkessen, 1846). ევროპელი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციები ამ უსამართლო და დაპყრობითი ომის შესახებ. რუსულ ენაზე წიგნი მეორედ გამოიცა საბჭოთა ეპოქაში 1986 წელს (Хамар-Дабанов, 1986). რამდენიმე წლის წინ ასევე რუსულ ენაზე დაიბეჭდა სახელწოდებით – „მოსკოველები და ჩერქეზები“ (Хамар-Дабанов, 2021).

წიგნის გამოცემისას მცირედ მოიპოვებოდა ინფორმაცია ავტორისა და მისი რომანის შექმნის მიზნებზე, თუმცა შემდეგ არაერთი ნაშრომი თუ მოგონება დაიწერა ამ ნაწარმოების შესახებ. თავდაპირველად ჟურნალ „ოტჩეხესტვენნიე ზაპისკის“ 1844 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა რეცენზია და რამდენიმე ციტატა რომანიდან, რომლებშიც სამართლიანად იყო აღნიშნული: „ეს არაა რომანი, არც მოთხრობა, არც სრული თხზულება, არამედ ესაა ნარკვევი დღევანდელი ქვეყნის ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ და, უფრო მეტიც, ნარკვევი-ნააზრევი“ (Отечественные записки, 1844, გვ. 34, 71).

1901 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ცნობილი კავკასიოლოგის, ევგენი ვაიდენბაუმის რეცენზია მწერლისა და მისი წიგნის შესახებ (Газета «Кавказ», 1901, №13, №14). აღნიშნულ საკითხს შემდგომ არაერთმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება. 1994 წელს გამოცემულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში – „მე-11–მე-20 საუკუნეების რუსი მწერლები“ (Русские писатели, 1994, გვ. 293-294) – ერთ-ერთი სტატია ეკატერინა ლაჩინოვასაც მიეძღვნა, რომელშიც, სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, გამოყენებულია XIX საუკუნის საარქივო მასალები და პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები.

წიგნისადმი ინტერესი თანამედროვე პერიოდშიც არ განელებულა. მეცნიერები სხვადასხვა ჭრილში განიხილავენ მწერლის მიერ რომანში დასმულ საკითხებს. მნიშვნელოვანია რ. ხურუმოვას (Хурумова, 2020, გვ. 252-256), ი. კლიჩნიკოვის (Клычников, 2020, გვ. 203-218), ლ. გოლიკოვასა და მ. შაროიკოს (Голикова, Шаройко, 2016, გვ. 55-59) სტატიები, ა. ურუშაძის წიგნის ერთ-ერთი ქვეთავი – „კავკასიური ომი. შვიდი ისტორია“ (Урушадзе, 2018). საინტერესოა რუსი მეცნიერის, ოლგა ხოროშილოვას, მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები: მონოგრაფია „ჯენტლმენ ჯეკი რუსეთში. ანნა ლისტერის წარმოდგენელი მოგზაურობა“ (Хорошилова, 2022) და სტატია – „რუსი ფემინისტი კავკასიის ომში, ან არისტოკრატი ლომის, ეკატერინა ლაჩინოვას, ხრიკების, მამაკაცის შარვლისა და

ლიტერატურული შემოქმედების შესახებ“ (Хорошилова, 2022 ბ). ამ ნაშრომებში მრავლად მოიპოვება უცნობი ფაქტები მწერალი ქალბატონის პირადი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და მკითხველი საზოგადოებისთვის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის ეროვნულ არქივში 2022 წელს ო. ხოროშილოვამ მიაკვლია ე. ლაჩინოვას უცნობი ნარკვევის ხელნაწერს, რომელიც მწერალმა ინგლისელ მოგზაურს, ანა ლისტერს, 1840 წლის მაისში აჩუქა და აქამდე არ იყო ცნობილი. „გზა ტიფლისიდან ერივანამდე. ერივანი 1839 წელს. ეჩმიადინის მონასტერი“ ნარკვევია, რომლის რუსულ თარგმანს ვეცნობით რუსი ლიტერატურათმცოდნის, ვ. მალახოვას, წიგნში „გოროდიშკო“ (Малахова, 2024).

## მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ნარატიული, ისტორიულ-კრიტიკული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები. კვლევის მეთოდი სამეტაპიანი სისტემაა:

1. წყაროს (ე. ხამარ-დაბანოვის რომან-პამფლეტის „ხრიკები კავკასიაში“) შესწავლა და სტატიისთვის კონკრეტული ადგილების თარგმნა; ავტორის ბიოგრაფიის დეტალების დადგენა რომანის შექმნის მოტივაციის გასაგებად;
2. ე. ლაჩინოვას თანამედროვე მწერლებისა და მეცნიერების მიერ დაწერილ ნაშრომებში, პუბლიცისტურ წერილებში, რეცენზიებში რუსი მწერლის წიგნის შესახებ არსებული ინფორმაციების მოძიება, შესწავლა და ერთმანეთთან შედარება; ახალი მასალების სანდოობის დადგენა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; წიგნის თაობაზე XX და XXI საუკუნის მეცნიერთა მოსაზრებების შეფასება;
3. მხატვრული ნაწარმოების, რომან-პამფლეტის „ხრიკები კავკასიაში“, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობის შეფასება.

## შედეგები და მსჯელობა

რომანის გამოქვეყნების ისტორია საკმაოდ სკანდალურია: 1844 წელს გამოცემული წიგნის სატიტულო გვერდის უკანა მხარეს მითითებული იყო: „ბეჭდვა ნებადართულია... მოსკოვი. 18 მარტი, 1844 წელი. ცენზორი ნ. კრილოვი“. 1844 წლის აპრილში წიგნი სარეალიზაციოდ მიიღო პეტერბურგელმა გამომცემელმა, წიგნების მაღაზიების მფლობელმა მატვეი ოლხინმა. 1844 წლის 26 მაისს ჟანდარმთა კორპუსის შტაბის უფროსმა ლეონტი ვასილის ძე დუბელტმა აცნობა სახალხო განათლების მინისტრ სერგეი უვაროვს: „ამ ნაშრომში ბევრი საეჭვო ადგილია, რომელიც არ უნდა მივიღეს მკითხველ საზოგადოებამდე“. იმავე დღეს პეტერბურგის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა კაველინმა გასცა ბრძანება წიგნის გამყიდველისათვის ამ წიგნის ყველა ეგზემპლარის ჩამორთმევის შესახებ. პეტერბურგის ობერპოლიცემისტერის ცნობით, ოლხინისგან 906 ეგზემპლარი წაიღეს. წიგნის დარჩენილი ეგზემპლარები უკვე გაყიდული იყო პეტერბურგსა და მოსკოვში. წიგნის დაბეჭდვის ნებართვის გამო, იმპერატორ ნიკოლაი I-ის ბრძანებით, ცენზორი პროფ. კრილოვი უნდა გაეთავისუფლებინათ ცენზორის თანამდებობიდან და, მეტიც, სხვებისთვის სამაგალითოდ, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი და დეკანი, უნივერსიტეტში 8 დღით უნდა დაეპატიმრებინათ“ (Добровольский, 1962, გვ. 40-41).

ლიტერატურის ისტორიკოსი, ცენზორი, სანკტ-პეტერბურგის პროფესორი ალექსანდრ ვასილის ძე ნიკიტენკო 1844 წლის 22 ივნისს თავის დღიურში წერდა: „სამხედრო მინისტრმა (ა. ჩერნიშევი – დ.კ.) წაიკითხა წიგნი და შეწუხდა. მან მიუთითა წიგნზე დუბელტს და უთხრა: „ეს წიგნი მით უფრო მაგნეა, რადგან მასში ყველა სტრიქონი მართალია!“ (Никитенко, 1955, გვ. 282-283). გენერალ-ლეიტენანტ ვასილი აბრამის ძე დოკუდოვსკის მოგონებებიდან ირკვევა, რომ იმპერატორმა ნიკოლაი I-მა სამხედრო მინისტრთან საუბრისას აღმოფთვებულმა თქვა: „ჩვენ არაფერი ვიცით კავკასიაზე, ეს ქალბატონი კი ჩვენ თვალს გვიხელს“ (Докудовский, 1898, გვ. 90). ჟანდარმთა უფროსის, გრაფ ალექსეი ორლოვის სერგეი უვაროვისადმი 18 ივლისს მიწერილი წერილიდან ირკვევა: „მისმა

უდიდებულესობამ გასცა ბრძანება აღნიშნული წიგნის ავტორ ლაჩინოვაზე პოლიციის ზედამხედველობა დაწესდეს და ვინაიდან, მიღებული ინფორმაციით, მას კიდევ ბევრი ხელნაწერი აქვს მომზადებული დასაბეჭდად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის ნაწერებს“ (Титов, 1959, გვ. 134).

ე. ლაჩინოვამ, როგორც ჩანს, გააცნობიერა საფრთხეები და ა. ორლოვისადმი მიწერილი თავდაცვითი წერილით სცადა თავი დაეღწია ახალი სასჯელისგან: „ძვირფასო გრაფო! როდესაც პეტერბურგში ამა წლის მაისში ჩემი ბოლო ვიზიტისას შევიტყვე ჩემი თხზულების – სახელწოდებით, „ხრიკები კავკასიაში“ -ავრძალვის შესახებ, შორს ვიყავი იმ აზრისგან, რომ მისი უდიდებულესობის უსიამოვნება გამომეწვია. ...წარსულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სწორედ ლიტერატურამ განადიდა ეკატერინა II-ისა და ლუი XIV-ის მეფობა. ყველა მხრიდან მესმის, რომ თანამედროვე რუსული ლიტერატურა არ არსებობს. და აი, სწორედ ამან მაიძულა, გრაფო, ამელო კალამი სიამაყის გარეშე, მაგრამ პატრიოტიზმითა და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულს“ (Титов, 1959, გვ. 134-135). მწერალი უარყოფდა წიგნის შექმნისას ვინმეს თანაავტორობას და მხოლოდ ორ გარდაცვლილ ადამიანს უთითებდა ვინაობის გარეშე, რომლებმაც გარკვეული დახმარება გაუწიეს.

რამ გამოიწვია ხელისუფლების ასეთი აღშფოთება? ამ მიზეზების გასარკვევად მოვიყვანთ რომანის მოკლე შინაარსს: ყუბანის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა კაპიტანი ალექსანდრე პუსტოგოროდოვი, კაზაკთა ასეულის მეთაური. ახალგაზრდობაში თანაუგრძნობდა პოლიტიკურ შეთქმულებს (დეკაბრისტებს – დ.კ.), ამიტომ დააქვეითეს ჯარისკაცად და გადაასახლეს კავკასიაში. ის იმპერიის სამსახურში ჩადგა და ერთგულად ემსახურებოდა ქვეყნის ინტერესებს. მალე ყოფილი უფროსები, რომლებმაც იცოდნენ მისი დამსახურება და აფასებდნენ მის ღვაწლს, სხვა პირებმა შეცვალეს. ახალ ხელმძღვანელობას სხვა შეხედულებები და მოთხოვნები ჰქონდა, რომელთან შერიგებაც პუსტოგოროდოვს არ შეეძლო და არც სურდა. ხელმძღვანელობისათვის განკუთვნილ წარდგინებებში მუდამ სიმართლეს წერდა, ქვეშევრდომებისა და მოსახლეობის ინტერესებს იცავდა, რამაც დაუმორჩილებელი და ჯიუტი ადამიანის რეპუტაცია მოუტანა. ხელისუფლებამ მას ზურგი აქცია და სამსახურისთვის კაზაკთა სოფელში დატოვა. აქ მას სტუმრობს გადამდგარი კორნეტი, დედისგან გათამამებული ძმა ნიკოლაი, რომელიც მოწყენილობისა და უსაქმურობის გამო სპარსეთში მიემგზავრება. სოფელში გატუტუცებული მოსკოველის ჩამოსვლა ავტორს საბაბს აძლევს ისაუბროს კავკასიის ხაზზე კაზაკთა სადარაჯო სამსახურის ორგანიზებაზე, დახატოს „განგაშის“ სურათი ჩერქეზი მტაცებლების მიერ დაცვის ხაზის გარღვევის გამო, მათი დევნა კაზაკების მიერ, რაზმის მოძრაობა ყუბანის იქით, ბრძოლა ან „გარიგება“ მთიელებთან და ა.შ. ავტორი მკითხველს აცნობს კაზაკებისა და ჩერქეზების ცხოვრების წესს, მათ ურთიერთობებს და განსხვავებულ შეხედულებებს მთაში ომის წარმოების ამოცანებისა და მეთოდების შესახებ. კაზაკთა სოფლიდან ძმები პუსტოგოროდოვები გაემგზავრნენ სტავროპოლში, სადაც თავმოყრილი იყო ჩრდილო კავკასიის რეგიონის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია. ავტორი მკითხველს აცნობს კავკასიაში ჩამოსული ახალწვეულების, ე.წ. „ხობების“ ყველაზე ტიპურ წარმომადგენლებს. ისინი იკვთებიან ძველ კავკასიელებთან, ინჟინრებთან, სასურსათო კომისიონერებთან და ყველა სხვა წოდების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ასე თუ ისე აქვთ კავშირი კავკასიის ხაზზე ჯარების სამეთაურო შტაბთან. ავტორი ასაუბრებს წინა თაობის ოფიცრებს, რომლებიც ქებით იხსენებენ ალექსეი ერმოლოვისა და ალექსეი ველიამინოვის დროებას. ყველანი თავს იყრიან სტავროპოლის ერთადერთ სასტუმროში, ქეიფობენ, თამაშობენ ბანქოს, საუბრობენ მოსალოდნელ ჯილდოებზე და ითვლიან ექსპედიციისას მივლინების სარგებელს. კავკასიაში, ქალაქ მინერალური წყლებში (Минеральные Воды) ძმები სტავროპოლიდან მშობლებთან შესახვედრად მიდიან. ავტორი ძალიან მცირე ადგილს უთმობს ამ ქალაქის ცხოვრების წესის აღწერას; საუბრობს ქალაქ ჰიატიგორსკის მეჯლისებსა და ქალაქ კისლოვოდსკში მოწყობილ პიკნიკებზე; ნათლად ხატავს მაღალი რანგის ჩინოვნიკის მისაღებს, სადაც ირკვევა ყველა პრობლემური საკითხი, რომელსაც ფაქტობრივად მისი შტაბის უფროსი და თანამემწეები არეგულირებენ. ძმები პუსტოგოროდოვები თბილისში ჩამოდიან, უფროსი – სამხედრო ოფიცრის სტატუსით, რომელიც თადარიგში გადის, ხოლო უმცროსი – როგორც მოგზაური და სპარსეთში მიემგზავრება.

რომანში გადმოცემული ამბები 1838-1842 წლებში ხდება. ამ დროს კავკასიის ცალკეული კორპუსის მეთაური იყო ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი (1782-1858 წწ.). რომანის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა გენერალ გრიგორი ქრისტოფორის ძე ფონ ზასის ღვაწლს ამ ომში. სიუჟეტში, რა თქმა

უნდა, ის არასოდეს სახელდება. მაგრამ მეტსახელი „ეშმაკი“ და მისი წარმოშობისა და გარეგნობის აღწერა („უცხო დასავლეთის ქვეყნებიდან, თეთრთმიანი, გრძელი წითელი უღვაშებით“) ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს არის გრიგორი ფონ ზასი. რომანის პერსონაჟი გენერალი მეშიკოვსკი კი რუსეთის სამსახურში ჩამდგარი გენერალი პაველ ვესტაფის ძე კოცებუა.

ვინ იყვნენ ნაწარმოების მთავარი გმირები? რეალური ცხოვრებაში არსებული პირები თუ გამოგონილი პერსონაჟები? რომან-პამფლეტში ასახული მოვლენები და პიროვნებები არ იყო გამოგონილი, ისინი რეალური პიროვნებები იყვნენ. ე. ხამარ-დაბანოვს თხრობისას გამოყვანილი ჰყავს საკმაოდ რაოდენობის პერსონაჟები, როგორც მთის მაცხოვრებლები (ფშემადი, ყულლე, დიდუ, აიშატი, მოხუცი მთიელი ქალი, ალი-კარსისი და სხვ.), ასევე სამოქალაქო და სამხედრო გარემოდან (ალექსანდრ პუსტოგოროდოვი, ნიკოლაშა, გრუშნიცკი, ნეოტაკი, პრასკოვია პეტროვნა, ნიკოლაი პეტროვიჩი, ზაბულდინი, მაიორი ლევი, იანკელ-ფაშა, პრინცი გალიცკი, ფონ ალტერი და სხვ.). ე. ლაჩინოვა ნაწარმოებში ყოველთვის არ ცვლიდა მოქმედი პირების სახელებს. თითოეული ამ ადამიანის ბედი თავისებურად უნიკალური და ორიგინალურია. ავტორი შეუღამაზებლად გადმოსცემს თვითმხილველთა მიერ წარმოდგენილ საბრძოლო ეპიზოდებს, საშუალებას იძლევა პირდაპირ იგრძნოს მკითხველმა ომის საშინელება, რომელიც აცამტვერებს ადამიანს, ანადგურებს მასში ყოველივე ჰუმანურს.

ე. ლაჩინოვა ძველი წესრიგის მომხრეა, როდესაც არ არსებობდა უზარმაზარი, ყოვლისმომცველი შტაბები. ალექსეი ერმოლოვის დროის გახსენებისას, მწერალი მთავარი გმირის, კაპიტან ალექსანდრ პუსტოგოროდოვის, პირით ამბობს, რომ „ახლა მსახურება რთულია, რადგან ვერ გაარკვევთ, ვინ არის უფროსი და ვინ – დაქვემდებარებული: ბრძანებებს ყველა გასცემს. ლაშქრობისას ორი ბატალიონია, რაზმის მეთაური თავად ნიშნავს შტაბის უფროსს, ის კი, თავის მხრივ, ნიშნავს მორიგე შტაბის ოფიცერს, რომელიც თავისთვის კრებს ადიუტანტებს, მწერლად იღებენ, ვისაც მოისურვებენ და ასე თავისთავად ჩნდება მთელი იმპროვიზებული შტაბი“ (Хамар-Дабанов, 1986, გვ. 273).

რომანში საკმაოდ საინტერესო საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება, კერძოდ, მეეტლისა და მგზავრის დიალოგით მკითხველს წარმოდგენა ექმნება კავკასიის ხაზის გზის გასწვრივ საგუშაგოების სისტემაზე; საუბარია კაზაკი ოფიცრის თვითნებობის შესახებ – ჯარისკაცების ხელმძღვანელობის დაუკითხავად გათავისუფლების თაობაზე. ავტორი მკითხველს მექრთამეობის ფაქტზეც უყვება – ჯარისკაცების გაშვება თანხის სანაცვლოდ; ასევე, ზოგადად დახასიათებულია კაზაკთა რაზმი. ავტორი საუბრობს კავკასიის ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატის შესახებ, ასევე, სამხედრო ბიუროკრატიის გადაჭარბებული ზრდის საშიშროებაზე; განმარტავს მიურიდიზმს, აღწერს ჩერქეზების წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდებს. აღნიშნავს, რომ მთიელებისთვის საცხოვრებლის შეცვლა უბედურების ტოლფასია. დაწვრილებით საუბრობს კავკასიის ხაზის უფროსის წარდგინების შინაარსზე, რომლითაც ალექსანდრ პუსტოგოროდოვს საყვედური უნდა გამოეცხადოს ჩრდილო კავკასიელების მოჭრილი თავების არმიტანის გამო და დამახინჯებულადაა გადმოცემული ბრძოლის ისტორია. მოყვანილია ამა თუ იმ პერსონაჟის მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე. მაგალითად, ნიკოლაშას შეფასება კავკასიური ხაზის მომსახურე ოფიცრობისა და კაზაკების შესახებ, ექიმის აზრი კავკასიაზე, ყაჩაღ ალი-კარსისის დადებითი დახასიათება ალექსანდრეს მიერ, ყაჩაღის მიერ გარუსებული ჩერქეზის, პშემადის, შეფასება, ალი-კარსისის მიერ რუსების დახასიათება, პშემადის და მისი რჩეულის, ყულლეს, საუბარი რუსების შესახებ. სიძულვილით აღსავსეა უსაქმური პატარა ძმის, ნიკოლაის, ნათქვამი ჩერქეზების შესახებ: „ჩემი ნება რომ იყოს, კარტეჩით გავანადგურებდი ყველა ჩერქეზს, ხოლო ვინც ცოცხალი ჩამივარდება ხელში, დაუნდობლად ჩამოვახრჩობდი“ (Хамар-Дабанов, 1986, გვ. 229). რუსეთის სამსახურში ჩამდგარი ჩერქეზი ახალგაზრდა კაცი, პშემადი, ნიკოლაშას ურჩევს, რომ ასეთ დაუფიქრებელი საუბრის ნაცვლად, რომელიც რუსეთიდან ჩამოსულ ბევრ ოფიცერს ახასიათებს, უმჯობესია ამ მხარეში მიწათმოქმედება, მრეწველობა, ვაჭრობა განავითარონ და ჩერქეზების ნდობა მოიპოვონ (Хамар-Дабанов, 1986, გვ. 230).

რუსულ საზოგადოებაში, კავკასიურ ომზე გავრცელებული ინფორმაციების მიუხედავად, რჩებოდა პასუხგაუცემელი კითხვები: რისთვის იბრძოდა რუსეთის ჯარი, რა ამოძრავებდათ კავკასიელთა წინააღმდეგ ომში? რატომ გრძელდებოდა ომი უსასრულოდ თუ რუსები ყოველ ჯერზე წარმატებულები

იყვნენ და ზოგიერთ კავკასიელ ხალხს იმორჩილებდნენ კიდევ? როგორ იცვება მთიელ მებრძოლთა შემადგენლობა თუ ისინი ასობით იღუპებიან ყოველ შეტაკებაში? წიგნი ნათელს ჰფენდა ამ საიდუმლოებებს, იმას, რომ კავკასიაში არ არსებობდა ხელისუფლების მოქმედების ერთიანობა. თითოეულ უფროსს თავისი პოლიტიკა ჰქონდა და საკუთარ ომს აწარმოებდა. რომანში ასახული სიმართლე არასასურველი იყო სამხედრო ხელმძღვანელობისთვის, რომელთაც ნაწარმოების პერსონაჟებში საკუთარი თავი ამოიცნეს.

## დასკვნები

ე. ხამარ-დაბანოვის ფსევდონიმს ამოფარებულმა ეკატერინა ლაჩინოვამ ჭეშმარიტად გამბედავი და შეიძლება ითქვას, გმირული საქციელი ჩაიდინა – გამოაქვეყნა რომანი კავკასიის ომის შესახებ და არა მხოლოდ რუს მკითხველებს, არამედ ევროპელებსაც დაანახვა ამ ომის ყველა უსიამოვნო მხარე: სისასტიკე, ბიუროკრატიული სისულელე, ძარცვა, ძალადობა, რუსი ოფიცრებისა და ჩინოვნიკების სიმხდალე. ე. ლაჩინოვას ნაწარმოები – გაბედული აზრით სავსე რომანი-პამფლეტი – გამოწვევა იყო მეფისა და მისი გარემოცვისთვის. ავტორი ხატავს ვულგარული, საზიზღარი, ეგოისტური, თვალთმაქცობის დაუნდობელ სურათს. „აქ იშვიათად შეხვდები ადამიანს ადამიანებს შორის!“ – დასკვნის მწერალი. რომანში ასახული ისტორიებით, ფაქტობრივად, გამოვლინდა საიმპერატორო ადმინისტრაციის არაკომპეტენტურობა, თანამდებობის პირთა თვითნებობა და კორუფცია, გენერლებისა და ოფიცრების მედიდურობა.

რომანს აქვს ისტორიული მნიშვნელობა, ვინაიდან ავტორმა ლიტერატურულ ნაწარმოებში სიმართლე თქვა კავკასიის ომზე, რომლის დეტალებს საგულდაგულოდ მალავდნენ რუსი მაღალჩინოსნები, მათ მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად გაყალბებული ფაქტები იკითხება. წიგნში ყოველგვარი შელამაზების გარეშეა წარმოდგენილი რუსეთის იმპერიის ჭეშმარიტი სახე. აღსანიშნავია, რომ შეფასებისას მწერალმა არ დაინდო ჩერქეზებიც, რომელთა წინააღმდეგაც იბრძოდა რუსული არმია. რომანის ავტორი გმობს ასეთ უაზრო ომს.

## გამოყენებული ლიტერატურა

Газета «Кавказ». (1901). №13, №14.

Голикова, Л. П., Шаройко, М. В. (2016). Кавказские события в художественно-публицистическом творчестве русских писателей XIX в. *Наследие веков. № 2*.

Добровольский, Л. М. (1962). *Запрещенная книга в России 1825-1904. Архивно-библиографические разыскания*. Издательствосесоюзной книжной палаты. Москва.

Докудовский, В. А. (1898). *Мои воспоминания*. Рязань.

Клычников, Ю. Ю. (2020). Русско-северокавказские отношения сквозь призму российскости. Особенности исторического партнёрства. *Диалог со временем. Вып. 70*.

Малахова, В. Г. (2024). *Городишко*. Комментарий к повести М. Ю. Лермонтова «Тамань». Издание второе. Санкт-Петербург: Найди лесоруба.

Никитенко, А. В. (1955). *Дневник в трех томах*. Т. 1 (1826-1857). Государственное издательство художественной литературы. Ленинград.

*Отечественные записки*. № 6. (1844). Отд. VI. Библиографическая хроника.

*Русские писатели 11-20 вв.* (1994). Биографический словарь. 1800-1917. Т. 3. Москва.

Титов, А. (1959). Александр Бестужев – герой забытого романа. *Русская литература, историко-литературный журнал, № 3*, Ленинград.

Урушадзе, А. (2018). *Кавказская война*. Семь истории. Новое литературное обозрение.

Хамар-Дабанов, Е. (2021). *Москвичи и черкесы*. Издательство М. и В. Котляровых.

Хамар-Дабанов, Е. (1844). *Проделки на Кавказе*. Ч. 1-2. СПб. в тип. К Жернакова.

Хамар-Дабанов, Е. (1986). *Проделки на Кавказе*. Роман. Ставрополь: Кн.изд-во.

Хорошилова, О. (2022). *Джентльмен Джек в России*. Невероятное путешествие Анны Листер. Москва: Манн, Иванов и Фербер.

Хорошилова, О. (2022). *Русская феминистка на Кавказской войне, или О проделках, мужских штанах и литературном творчестве Екатерины Лачиновой, светской львицы*. <https://knife.media/lachinova/> (08.12.2024).

Хурумова, Р.Ю. (2020). О книге Е. Хамар-Добанова «Проделки на Кавказе». *Псалъ № 16 (19) – № 17 (20)*. Сборник статей. Изд-во АГУ.

Moskowiter und Tscherkessen. (1846). *Skizzenbuch aus dem Russischen des Hamar Dabanow*. Erster Theil. Leipzig. Verlag von J.J. Weber. 238 S. [https://books.google.ge/books?id=7fcWAAAAYAAJ&printsec=frontcover&source=gbs\\_ge\\_summary\\_r&cad=0№v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?id=7fcWAAAAYAAJ&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0№v=onepage&q&f=false) (08.12.2024).